ეკა დარბაიძე

# საფრანგეთის "ეროვნული ერთობის" (ყოფილი „ნაციონალური ფრონტის") პოლიტიკური ტრანსფორმაცია და პარტიის გენდერული პოლიტიკა


## ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

თანამედროვე მსოფლიოს ულტრამემარჯვენე პოპულიზმმა გადაუარა, რაც დიდ ბრიტანეთში ბრექსიტით, ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევით, ევროპულ ქვეყნებში და ევროპარლამენტში ულტრა მემარჯვენე ძალების გაძლიერებით გამოიხატა. განსაკუთრებული მხარდაჭერით კი ულტრა მემერჯვენე ძალები გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და უნგრეთში სარგებლობენ. საფრანგეთის „ეროვნული ერთობაც" სწორედ ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია ესოდენი მხარდაჭერა საფრანგეთში, როგორც ბოლო ეროვნულ და ევროპულ არჩევნებზე, რომელზეც რადიკალმა მემარჯვენე ძალამ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზება და მხარდაჭერის მოპოვება შეძლო.

2011 წელს „ეროვნული ერთობის" თავმჯდომარედ მარინ ლე პენის მოსვლამ პარტიას ახალი სიცოცხლე შესძინა და განვითარების ახალ რელსებზე გადაიყვნა, პოლიტიკური ორგანიზაცია აქტიურად ცდილობს მხარდაჭერთა არეალის გაფართოებას. მარინ ლე პენის მმართველობის ქვეშ „ეროვნულმა ერთობამ" მოახერხა კონსერვატიული პოზიციების გარკვეულწილად მოდერნიზება გენდერის, სექსუალობისა და ოჯახის თემებთან დაკავშირებით. ახალი დისკურსით პარტიის ლიდერი მიზნად ისახავს ამომრჩეველთა ისეთი სეგმენტების მოზიდვას, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე ნაკლებად მოიაზრებოდნენ „ეროვნული ერთობის" ელექტორატის რიგებში, სწორედ ასეთ ელექტორატს მიეკუთვნებიან ქალები.

რადიკალური მემარჯვენე პარტიების აღზევების, დაწინაურების, საარჩევნო წარმატებების მიზეზთა კვლევა თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. წინამდე-

ბარე სტატიის მიზანია შევისწავლოთ და გავაანალიზოთ, თუ რამ განაპირობა ულტრამემარჯვენე პოპულიზმის ესოდენი მომძლავრება და მხარდაჭერა ევროპაში, კონკრეტულად რა ფაქტორები განაპირობებენ ულტრა მემარჯვენე ძალების პოპულარობასა და მხარდაჭერას ქალთა ელექტორატში? რამდენად მგრძნობიარეა პარტიის პოლიტიკა და როგორ პასუხობს „ეროვნული ერთობის“ საარჩევნო პლატფორმები ქალ ამომორჩეველთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს?

ეჭვგარეშეა, რომ პარტია აქტიურად ცდილობს ქალ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვებას და პარტიის გარშემო მათ მობილიზებას, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ბოლო არჩევნებში „ეროვნული ერთობის“ სიებში ჩასმულ ქალ კანდიდატთა მზარდი სტატისტიკა და საპრეზიდენტო არჩევნებზე ქალი ელექტორატის აქტიური მხარდაჭერა. ამ ყველაფრის მიუხედავად, საფრანგეთში ქალთა უფლებებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ფემინისტი აქტივისტები და მათი მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ მარინ ლე პენი ქალთა უფლებებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, რომელიც როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ბრძოლის შედეგად ქალთა უფლებათა მიღწევებს.

**საკვანძო სიტყვები:** რადიკალი მემარჯვენე პარტიები, ეროვნული ერთობა, ნაციონალური ფრონტი, მარიან ლე პენი, ულტრა მემარჯვენე ძალები, ქალი ამომრჩევლები, ქალთა უფლებები.

## შესავალი

საფრანგეთის „ეროვნული ერთობა“, როგორც პოპულისტური რადიკალური მემარჯვენე პარტია უმნიშვნელოვანეს ტრანზიციას განიცდის. ბოლო წლებში მხარდაჭერებთან ერთად, პარტიის მიმართ მედიასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერესი და ხილვადობა მნიშვნელოვანად იზრდება (Lorriaux, 2017). მარინ ლე პენმა, რომელმაც მამისგან, პარტიის ყოფილი ლიდერისაგან ჟან მარი ლე-პენისაგან განსხვავებით უარი თქვა კოლონიალიზმის პოლიტიკასა და უფრო აგრესიულ ანტიმიგრაციულ რიტორიკაზე, 2011 წლიდან აქტიურად ჩაერთო პარტიის „მოდერნიზაციისა“ და მისი იმიჯის დე-დემონიზაციაში. საფრანგეთის „ეროვნული ერთობის“ ახალი

ლიდერის მიზანია პარტიაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება და მხარდაჭერთა რიგების გაფართოება, რათა „ეროვნული ერთობა“, იგივე ყოფილი „ნაციონალური ფრონტი“ საფრანგეთის მთავარ მეინსტრიმინგულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდეს. ფრანგული ულტრა მემარჯვენე პოლიტიკური ძალების არაეგალიტარული პოლიტიკური კულტურისაგან განსხვავებით, „ეროვნული ერთობა“ ცდილობს მოირგოს სეკულარული პოლიტიკური ძალის იარლიყი და რესპუბლიკური ღირებულებები, რომელიც ტრადიციულად საფრანგეთში მემარცხენე ძალებთან ასოცირდებოდა და შესაბამისად ფრანგულ საზოგადოებაში მათი პოლიტიკის ლეგიტიმაციის უმნიშვნელოვანესს რესურს წარმოადგენდა. ბოლო წლებში „ეროვნულმა ერთობამ“ ანტისაემიგრაციო დღის წესრიგის მნიშვნელოვანი რეფორმირება მოახდინა და ამჯერად ძირითად ფოკუსს რესპუბლიკური ღირებულებების დაცვასა და ”ფრანგული ისლამის” რესპუბლიკაში ინტეგრაციის პოლიტიკის აუცილებლობაზე აკეთებს. ქალი ლიდერის მმართველობის ქვეშ „ეროვნულმა ერთობამ“ შეძლო მოეხდინა კონსერვატიული პოზიციების მოდერნიზება გენდერის, სექსუალობისა და ოჯახის თემებთან დაკავშირებით. სწორედ ახალი დისკურსით „ეროვნული ერთობის“ ლიდერი მიზნად ისახავს ამომრჩეველთა ისეთი სეგმენტის მოზიდვას, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი პოლიტიკური პარტიის ელექტორატთა რიგებში, მათ შორისაა: ქალები, ახალგაზარდები და ეთნიკური უმცირესობები.

ბოლო წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ „ეროვნულმა ერთობამ“ მნიშვნელოვნად გააძლიერა საკუთარი პოზიციები და არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე საფრანგეთში იგი მესამე ძალად გამოცხადდა, რომელიც წარმატებით გადავიდა 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში (Resultats de l’Election Presidentielle 2017). აღნიშნული წარმატებების მიუხედავად „ეროვნული ერთობა“ კვლავაც რჩება პოლიტიკურ

ორგანიზაციად, რომელიც ამ დრომდე ვერ ახერხებს მთავარ პარტიებთან ალიანსის შექმნას. პარტია აქტიურად ცდილობს ქალ ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვებას, მიზნად ისახავს მოირგოს გენდერულად მგრძნობიარე, თანასწორობასა და სექსუალურ თანამედროვეობის პოლიტიკასთან ახლოს მდგომი პარტიის იმიჯი და პოზიციონირებს როგორც ყველაზე ნაკლებად სექსისტური პოლიტიკური ძალა საფრანგეთის პოლიტიკურ ლანდშაფტზე.

ბოლო წლებში თანამედროვე მსოფლიოს ულტრამემარჯვენე პოპულიზმმა გადაუარა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევით, დიდ ბრიტანეთში ბრექსიტით, ევროპის ქვეყნებში და ევროპარლამენტში ულტრა მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გაძლიერებით გამოიხატა. ეკონომიკურმა კრიზისმა, საერთაშორისო ტერორიზმმა, მზარდმა მიგრაციამ და მულტიკულტურალიზმით მზარდმა უკმაყოფილებამ, ევროპულ ქვეყნებში რადიკალი მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გააქტიურება და მათი მხარდაჭერის ზრდა გამოიწვია. დღეს ევროპის სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში ხშირად ევროკავშირს ერთგვარად "ბრალს სდებენ" ულტრა მემარჯვენე პოპულიზმის გაძლიერების ხელშეწყობაში, მათი შეფასებით ევროპული კავშირი ხელს უწყობს კონსერვატიული იდეების გავრცელებას ევროსივრცეში. დასაქმების ბაზარზე თანაბარი წვდომის სირთულეები, საპასუხისმგებლო და მაღალანაზღაურებად პოზიციებთან ხელმისაწვდომა, თავისუფლების შეზღუდვა, საკუთარი სხეულის ავტონომიურობის შეზღუდვა - ეს იმ უფლებათა მხოლოდ ნაწილობრივი ჩამონათვალია, რაც საბოლოოდ ძირს უთხრის ქალთა უფლებათა საუკუნოვანი ბრძოლის მიღწევებს (Lorriaux, 2017).

28 სექტემბერს, ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტის (IVG) დეკრიმინალიზაციის საერთაშორისო დღეს, საკუთარი სხეულისა და სექსუალობის კონტროლის უფლების დასაცავად მთელი მსოფლიოს მაშტაბით ათიათასობით ქალი ქუჩაში გამოვიდა. აღნიშნუ-

ლი უფლებები ევროპის არაერთ ქვეყანაში რეგულარულად მუდმივად წარმოადგენს უკიდურესად მემარჯვენე მოძრაობების თავდასხმათა სამიზნეს. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რამ განაპირობა ულტრამემარჯვენე პოპულიზმის ესოდენი მომძლავრება და მხარდაჭერა ევროპაში? კონკრეტულად რა ფაქტორები განაპირობებენ ულტრა მემარჯვენე ძალების პოპულარობასა და მხარდაჭერას ევროპული კულტურების ქალ ამომრჩევლებში? დღეს კონსერვატიული და ანტი-ლიბერალური პოპულისტური რეჟიმები ხელისუფლებაში დემოკრატიული სტანდარტების შესუსტების კონტექსტში გვევლინებიან. 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, ცენტრალური ევროპის მთავრობები სამოქალაქო და სოციალურ რეფორმებისაგან განსხვავებით მხარს უჭერდნენ და იზიარებდნენ ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მნიშვნელოვან აუცილებლობას (Mincke, 2017). შესაბამისად, საბჭოთა ბლოკის ამ ქვეყნებში დღემდე ყვავის ხელისუფლების პოპულისტური და ლიბერციდული ფორმები. პოლიტიკური რეჟიმის ეს ფორმები მუდმივად ცდილობდნენ პოსტ-კომუნისტური ინფრასტრუქტურის გარდაქმნას ახალი მმართველი ელიტისა და მისი შემადგენელი ინსტიტუტების სასარგებლოდ. ლიბერალური ნორმატიული წესრიგი, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და გამოწვევები სამწუხაროდ ევროპული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილის იზოლაციასა და მარგინალიზაციას ახდენს. განვითარებად ქვეყნებში ფინანსური კრიზისის შემდეგ წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისი ნაწილობრივ ხელს უწყობს რადიკალური პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ მხარდაჭერთა მობილიზებასა და პოლიტიკურ სიმპათიებს, თუმცა ამ ფენომენს დასავლეთ ევროპაში უფრო ხშირად ლიბერალიზმისა და მომძლავრებული სოციალური კონსერვატიზმის საპასუხოდ წარმოქმნილი კულტურული დაპირისპირებით, განსაკუთრებით კი მიგრანტთა კრიზისებით ხსნიან.

მკვლევარებმა ანდრეა პეტომ და ვერონიკა გრზებალსკამ „The Conversation”-ში გამოაქვეყნეს სტატია სახელწოდებით „თუ როგორ გააჩუმეს ქალები და მიჩქმალეს ადამიანის უფლებები პოლონეთმა და უნგრეთმა”, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნების ლიბერალური რეჟიმების მიზანია პოსტ-კომუნისტური ინფრასტრუქტურის გარდაქმნა ახალი მმართველი ელიტისა და მის ამომრჩეველთა სასარგებლოდ (Andrea Peto&Weronika Grzebalska, 2016). ამ ტრანსფორმაციის მთავარი ასპექტია სამოქალაქო საზოგადოებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების ჩანაცვლება სახელმწიფო დღის წესრიგის მხარდამჭერი საზოგადოებრივი ორგანიზაციებით, აღნიშნულ ქვეყნებში საგანგებოდ ყალიბდებიან და ფუნქციონირებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც ხშირად სახელმწიფო პოლიტიკის დღის წესრიგის დასახმარებლად და მხარდასაჭერად იქმნება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე სოციალურ და ადამიანის უფლებათა საკითხებს ეხება. მაგალითად, უნგრეთში არსებობს ორი ძირითადი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ოჯახში მამების როლსა და მათი სამუშაო და ცხოვრების ბალანსის საკითხებზე მუშაობს, ასეთი ორგანიზაციებია „Jol-let“და ახლად დაარსებული „Harom Kiralyfi“-ი (Andrea Peto&Weronika Grzebalska, 2016). მსგავსი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების მიზანს არ წარმოადგენს ხელისუფლების კონტროლის ფუნქცია და ანტი სახელისუფლებო რიტორიკა, არამედ მათი მიზანია ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის მხარდაჭერა და ლეგიტიმაცია მოქალაქეებში. როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ასეთი ტიპის ორგანიზაციები კი ხშირად სახელმწიფოსა და ზოგჯერ კი ევროპელი დონორების ფინანსური მხარდაჭერით ფუნქციონირებენ. როგორც ადგილობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, უახლესი ისტორიის მანძილზე, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის სახელით შეიმჩნევა ადამიანის თავი-

სუფლებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გვერდზე გაწევა, რომლის მაგალითია მრავლობითი სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებისა და რეკომენდაციების უგულებელ-ყოფა ხელისუფლების მხრიდან. ადამიანის უფლებების დაცვა ხშირად ამ ქვეყნებში მეორეხარისხოვან საკითხად მიიჩნევა ეროვნული სუვერენიტეტის მიღმა, სადაც გენდერული თანასწორობა, ღია საზოგადოება და უმცირესობის უფლებები ერის გადარჩენის ეგზისტენციალურ საფრთხედ განიხილება, შესაბამისად, ევროპაში მემარჯვენე პოპულიზმის ზრდა ძირს უთხრის ქალთა უფლებების კუთხით საუკუნოვანი ბრძოლის მიღწევებს (Andrea Peto&Weronika Grzebalska, 2016). ჩნდება რეალური საფრთხე იმისა, რომ თანასწორობის საკითხები საერთოდ გაქრეს პოლიტიკური დღის წესრიგიდან და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ქალთა უფლებები.

ყოველი გლობალური თუ ეროვნული კრიზისის დროს, პოპულიზმი ყველაზე აქტიურად ახსენებს თავს საზოგადოებას და მათ დახმარებისა და პრობლემათა გადაჭრის ერთი შეხედვით მარტივ გამოსავალს სთავაზობს (Mincke 2017). 2017 წელს ისლამისა და გლობალიზაციის მომძლავრების ფონზე, უკიდურესმა მემარჯვენე ძალებმა რესპუბლიკური და ლიბერალური ფასეულობების მითვისების ფონზე საზოგადოებას ნაციონალისტური დისკურსი შესთავაზეს. მედიის სიჭრელით დატვირთული და კარგად დამკვიდრებული საკომუნიკაციო პროცესი კვლავაც აქტიურად მუშაობს "დემონიზაციაზე". ხდება თანამედროვე კონცეფციების შეცვლა, ტოტალიტარიზმის ჩანაცვლება ისლამიზაციითა და მონდიალიზაციით; მოდერნიზაციის შედეგად იზოლირებულ და შეჭირვებულ სეგმენტზე აქცენტირების გამო, ხშირად რადიკალ მემარჯვენე ძალებს „ახალ მუშათა პარტიებსაც“ კი უწოდებენ (Chawa, 2015). ევროპაში მემარჯვენე პოპულიზმის მიზანია მაქსიმალურად მოირგოს სოციალური, ხალხის პრობლემებთან ახლოს მდგომი და შესაბამისად, დემოკრატიასთან თავსებადი იმიჯი. ნეოლიბერალური გლობალიზა-

ციის შედეგები კვლავაც მძიმედ აისახება ევროპაში: იზრდება უმუშევრობა, სოციალური უთანასწორობა და სიღარიბე. მაგრამ გლობალურ კონტექსტში, სადაც აღარ არსებობს გლობალური ემანსიპატორული პროექტი, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 74 წლის და ბერლინის კედლის დაცემიდან 31 წლის შემდეგ, პოპულისტური, უკიდურესად მემარჯვენე პოლიტიკური პროექტები, წარმატების მოპოვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით, ძირეული ცვლილების მოთხოვნით აქტიურად ცდილობენ პოზიციონირებას. ასეთია სწორედ ჰოლანდიაში „თავისუფლების პარტიის“ ლიდერი გერტ ვილდერსი, ფრანგული „ეროვნული ფრონტის“ პარტიის ხელმძღვანელი მარინ ლე პენი და უნგრეთში პრემიერ მინისტრი ვიქტორ ორბანი.

2011 წელს მარიან ლეპენი პარტია „ნაციონალური ფრონტის“ სათავეში მოსვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც მან მამამისი, პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი ჟან მარი ლეპენი ჩაანაცვლა, ახალი ლიდერი აქცენტს აკეთებს საზოგადოების მხრიდან ყველაზე მეტად მოთხოვნად „სოციალურ" თემებზე, კერძოდ, ის მხარს უჭერს საპენსიო ასაკის შემცირებას და დაწევას 60 წლამდე, მოითხოვს მუშათა უფლებათა დაცვას, აქტიურად ცდილობს გარეუბანში მცხოვრები ახალგაზრდების მხარდაჭერის მოპოვებასა და მათ შემოკრებას პარტიის გარშემო (Marine Le Pen, 2012). 2011 წლიდან და მარინ ლე პენის „ნაციონალური ფრონტის“ (FN) პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ, საფრანგეთის ულტრა მემარჯვენე პარტიამ შეიმუშავა ხელისუფლებაში მოსვლის სრულიად ახალი სტრატეგია. პოლიტიკური ორგანიზაცია აქტიურად ცდილობს ამომრჩეველთა ხმების მობილიზებას, განსაკუთრებით კი ქალ ამომრჩეველთა მხარდაჭერის ხარჯზე, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ბოლო არჩევნებში ქალთა უფლებების დაცვის რიტორიკის შედეგად მოპოვებული ქალი ამომრჩევლების მზარდი მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ ყოფილ „ნაციონალურ ფრონტს“ აქვს საკმაოდ მყარი მხარდაჭერა საფ-

რანგეთში ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა „ახალი წესრიგი“, „ევროპული ცივილიზაციების კვლევისა და შესწავლის ცენტრი“, ნაციონალისტური რევოლუციური ჯგუფები - „რადიკალური კავშირი“, მემარჯვენე სტუდენტთა ჯგუფი - „კავშირი ჯგუფური თავდაცვა“, „ სამხრეთის ლიგა“, „პატრიოტები“ ესენი არიან სწორედ ის ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებზეც ოთხი ათწლეულის განმავლობაში „ეროვნული ერთობა“ წარმატებით ანხორციელებს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ჰეგემონიას (Labourg, 2016).

ბუნებრივია, რომ რასისტულ, ქსენოფობიურ, სექსისტურ და ჰომოფობიურ ფონზე, „ეროვნულმა ერთობამ“ ვერ შეძლო ვერც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან ალიანსის შექმნა, შესაბამისად ერთადერთ გამოსავლად პარტიისათვის მხოლოდ ელექტორატთა რიგების გაფართოება რჩება, შესაბამისად, ამ მხრივ ქალები პარტიისათვის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს.

## მასკულინური პარტია „ეროვნული ერთობა“ გარდამავალ პერიოდში და პარტიის საარჩევნო პროგრამის გენდერული ანალიზი

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში ფემინიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მიღწევაა საფრანგეთში. აღნიშნული მექანიზმის წყალობით ბევრმა ქალმა შეძლო გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე გასვლა, თუმცა მიუხედავად ამისა ძალაუფლების სექსისტური სტრუქტურები კვლავაც უცვლელი რჩება ქვეყანაში. დღეს ქალები საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში უმცირესობაში გვევლინებიან (25%-ს წარმოადგენენ), მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში არსებობს სავალდებულო გენდერული კვოტირება, რომელიც პარტიებს არჩევნებში გენდერული ბალანსის დაცვას ავალდებულებს, ხშირად პარტიები არჩევნების დროს სიებ-

ში გენდერული პარიტეტის დაცვას ფინანსური ჯარიმის გადახდას ამჯობინებენ (Krebs S, Fevrier 26, 2015 Europe 1).

ყოფილი „ნაციონალური ფრონტის“ და ამჟამინდელ „ეროვნული ერთობის“ თავდაპირველ ლიდერს - ჟან მარი ლე პენს ჰქონდა უაღრესად კონსერვატიული პოზიცია გენდერზე, სექსუალობასა და ოჯახის თემებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატებოდა კიდეც კონსერვატიული კათოლიკური ფრაქციის ხელმძღვანელის ბერნარდ ანტონიას პოზიციით, რომელიც ლე პენის პარტიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ სახეს წარმოადგენდა. მიუხედავად გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში პოზიციების თანხვედრისა, „ეროვნული ფრონტი“ყოველთის ინარჩუნებდა კომპლექსურ ურთიერთობას კათოლიკურ სამყაროსთან და არასოდეს უჭერდა მხარს კათოლიკურ დღის წესრიგს, უფრო მეტიც, კათოლიციზმს წარმოაჩენდა ფრანგი ერის სიმბოლოდ, მეო-მაურისიანისტურ მიდგომებზე დაყრდნობით (Scrinzi, 2017). პარტიის ლიდერის ჟან მარი ლეპენის გენდერული იდეოლოგიის თანახმად, ბუნება და რელიგია სოციალური წესრიგის საფუძველს წარმოადგენდა, სადაც ოჯახი და ერი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. 1996 წელს ჟან-მარი ლე პენმა მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ ქალებს არ ჰქონდათ “საკუთარი სხეულის განკარგვის უფლება,“ რომ მათ არ გააჩნდათ საკუთარი სხეულის კონტროლის უფლება, რადგან ქალები ერისა და ბუნების საკუთარებას წარმოადგენდნენ. აღნიშნულ საუბარში ჟან მარი ლე პენმა „ჰომოსექსუალობის“ თავისებური ინტერპრეტაციაც შესთავაზა ფრანგულ საზოგადოებას და მას "ბიოლოგიური და სოციალური ანომალია" უწოდა (Crepon, 2015). მკვლევართა მიერ ლე პენის დისკურსი შეფასებულია, როგორც ნატურალიზმზე დაფუძნებული გენდერული და იერარქიული დუალიზმების გარშემო განვითარებული დისკურსი, რომელიც ჩვენს შინაგანს, პირადს ეწინააღმდეგება რასობრივი და სხვა გარეგნულ მასშტაბებით.

საფრანგეთის არჩევნების ისტორიას თუ გადავხედავთ 1984 წლიდან - 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ჩათვლით, „ეროვნული ერთობის“ მიერ მოპოვებული ხმების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ წლების მანძილზე პარტიას ქალები ყველაზე ნაკლებად უცხადებდნენ ნდობას და მამაკაც ელექტორატთან შედარებით უფრო ნაკლებად აძლევდნენ ხმას არჩევნებში. 1988 წელს საფრანგეთში ჩატარებულ არჩევნებზე „ეროვნული ფრონტის“ სასარგებლოდ ქალი ამომრჩეველის ხმების რაოდენობა 7 ქულით დაბალი იყო მამაკაც ელექტორატიდან მიღებულ ხმებთან შედარებით, 1995 წელს კი ეს განსხვავება 6 ქულა იყო, ხოლო 2002 წელს არსებული გენდერული სხვაობა უცვლელად შენარჩუნდა; 2007 წელს ქალ და მამაკაც ამორჩეველთა შორის არსებული სხვაობა 3 ქულით შემცირდა. მნიშვნელოვანი ცვლილება „ნაციონალური ფრონტის“ ელექტორატის გენდერულმა სტატისტიკამ მხოლოდ 2012 წელს განიცადა, მას შემდეგ, რაც მარინ ლე პენმა საკუთარი კანდიდატურა საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე წარადგინა, რომელზეც მას ფრანგი ქალების 30%-მა გამოუცხადა ნდობა, რაც 17%-ით მეტი იყო მამამისის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მოპოვებულ ხმებთან შედარებით (Resultats de l’Election Presidentielle 2012).

საფრანგეთში დღეს ალბათ ბევრს აღარ უკვირს, რომ მარინ ლე პენს ფრანგული საზოგადოების ნაწილი „ნაციონალისტ ფემინისტადაც“ კი მოიაზრებს, და ხშირად ერთ-ერთ არგუმენტად მისი მმართველობის ბოლო პერიოდში საარჩევნო სიებში ჩასმულ ქალთა მზარდი რაოდენობა მოჰყავთ. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რა განაპირობებს ლე პენის ასეთ მხარდაჭერას ქალ ამომრჩევლებში? გენდერულად რამდენად მგრძნობიარეა პარტიის პროგრამა და რამდენად პასუხობს იგი ქალი ელექტორატის საჭიროებებსა და მოთხოვნებს?

საჯარო გამოსვლებში მარინ ლე პენმა არაერთხელ განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს და სოლიდარობას უცხადებს დასაქმებულ

დედებს, რადგან იგი ყველაზე უკეთ იცნობს, ქალთა ამ ჯგუფის პრობლემებსა და საჭირობებს. პირველ რიგში სწორედ ქალები არიან ეკონომიკური კრიზისის უპირველესი მსხვერპლნი, ყველაზე მეტად ისინი განიცდიან ეკონომიკური გლობალიზაციისა და ნეოლიბერალაური პოლიტიკის უმძიმეს შედეგებს. როგორც პარტიის ლიდერი მიიჩნევს, „ქალები არიან სწორედ ის ერთ–ერთი სოციალური ჯგუფი, რომელსაც მემარცხენე ფრთამ გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლაში მათ საბოლოოდ უღალატა“ (Scrinzi, 2017).

„ეროვნული ერთობა“ საფრანგეთის მშრომელების, მუშათა კლასისა და გადასახადების გადამხდელი მოქალაქეების, ე.წ „საფრანგეთისგან დავიწყებულების“ (la France des oubliés) ინტერესთა დამცველ პოლიტიკურ ორგანიზაციად იდენტიფიკაციას ახდენს და აცხადებს, რომ სწორედ „ეროვნული ერთობა“ იცავს ეროვნული საზოგადოების წევრებს ისეთი საფრთხეებისაგან, როგორიცაა: მიგრანტები და პოლიტიკური ელიტები. აღსანიშნავია, რომ მარინ ლე პენი მხარს უჭერს კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელს, საკუთარ გამოსვლებში ხშირად მიმართავს მშრომელთა კლასის წარმომადგენლებს, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მან მოახერხა მუშათა კლასის მხარდაჭერისა და ნდობის მოპოვება და ამით სერიოზული დასაყრდენი გამოაცალა ფრანგულ მემარცხენე პარტიებს საფრანგეთში. როგორც 2017 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების სტატისტიკიდან ვლინდება მარიან ლე პენს საფრანგეთში მუშების 29%-მა, ვაჭრებისა და ხელოსნების 26%-მა და მოსამსახურეთა 22%-მა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 20 %-მა დაუჭირა მხარი (Branford & Nowak, 2017). რაც შეეხება არჩევნების შედეგების გენდერულ სტატისტიკას, საინტერესოა, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში “ეროვნულმა ფრონტმა“ ფრანგი ელექტორატი ქალების ხმათა 16%-ი, ხოლო მამაკაცი ელექტორატის ხმათა 21%-ი მოიპოვა, მაშინ როდესაც 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიისადმი ქალი ელექტო-

რატის მხარდაჭერის მაჩვენებელი. კერძოდ, ბოლო არჩევნების შედეგებით, მარინ ლე პენს ნდობა ფრანგი ქალების 37%-მა გამოუცხადა, აღნიშნული მაჩვენებელი 21%-ით არის გაზრდილი წინა საპრეზიდენტო არჩევნების (2012 წლის) შედეგებთან შედარებით (იხილეთ სურათი N1 და სურათი N2).

**სურათი 1.**

**საფრანგეთის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გენდერულ ჭრილში**




წყარო: *Les crises, 2012*

**სურათი 2.**

**2017 წლის 7 მაისის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების გენდერული ანალიზი**




*წყარო: Les crises, 2017*

არსებული შედეგების გათვალისწინებით შესაძლოა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ლე პენის ხმა აღარ არის კონკრეტული ჯგუფის პროგატივა, მისი მხარდაჭერა ძლიერია მოსახლეობის ყველა სეგმენტში.

ფემინისტები ხშირად აცხადებენ, რომ მარინ ლე პენი დღემდე აქტიურად ცდილობს მოირგოს თანამედროვე, აქტიური, ორჯერ განქორწინებული ქალისა და სამი შვილის დედის იმიჯი (Marine Le Bretone, 2017). საკუთარ ავტობიოგრაფიაში სახელწოდებით "დინების წინააღმდეგ" იგი ხაზს უსვამს  დასაქმებული და მომუშავე დედის გამოცდილებას, აღწერს და წარმოაჩენს საკუთარ თავს, როგორც „თითქმის ფემინისტს", მარინი იხსენებს განქორწინებების იმ პერიოდს, თუ როგორ იბრძოდა  და ცდილობდა საკუთარი საქმის, პოლიტიკური როლისა და შვილებზე მზრუნველი დედის როლების შეთავსებას (A Contre Flots, 2017). „ნაციონალური პარტიის" ლიდერი საკუთარ თავს „ფემინისტს" უწოდებს, საკუთარ გამოსვლებში უყოყმანოდ ციტირებს სიმონა დე ბოვუარს: - „არასოდეს დაგვავიწყდეს, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური კრიზისების გამო ქალთა უფლებები კითხვის ნიშნის ქვეშ შესაძლოა აღმოჩნდეს". ის არის „ქალი, დედა და ადვოკატი" - სწორედ ეს სამი

სიტყვა გამოიყენა მარინ ლე პენმა 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ ოფიციალურ სარეკლამო რგოლში. მისი მესიჯი ძალიან მარტივი და მკაფიოა: მას სურს იყოს თანამედროვე, აქტიური, განქორწინებული ქალი, დედა, რომელიც კარგად იცნობს ფრანგი მოქალაქეების პრობლემებს (Laurent &Breteau, 2017).

ისტორიულად მემარჯვენე რადიკალური პოლიტიკური ძალების ხედვებზე და მათ საარჩევნო პლატფორმებში, რომელიც ქალსა და ოჯახის თემას შეეხება, მათ ფასეულობათა სისტემაზე შეინიშნება ტრადიციონალისტი კათოლიკეების გავლენა. მათ აქვთ ნატურალისტური და ეგზისტენციალური ხედვა, რომელიც განსაზღვრავს ქალსა და მამაკაცს შორის დიფერენცირებულ და იერარქიულ როლებს (Laurent de Boissieu, 2015). სქესის ბუნებრივი განსხვავება ქალებს მოიაზრებს ოჯახის, კერიის რეპროდუქტორისა და მეურვის როლში, ოჯახი საზოგადოების ძირითადი ბაზისია, სადაც მამა თავის ავტონომიურობას ანხორციელებს. ულტრა მემერჯვენე პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნათლად არის გადმოცემული სხვადასხვა საარჩევნო პლატფორმებში. 1973 წელს „ნაციონალური ფრონტის“ პირველ პროგრამაში სახელწოდებით "Défendre les Français“ („ფრანგების დაცვა“), „ეროვნულმა ფრონტმა“ წარმოადგინა საკმაოდ ზომიერი პოზიცია აბორტის საკითხის გარშემო, რადგან ტრადიციონალისტ კათოლიკეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გადამწყვეტი გავლენა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. მოგვიანებით „ნაციონალურმა ფრონტმა“ დამოკიდებულება შეცვალა და განაცხადა, რომ სპეციალურ კომისიას უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ქალისათვის აბორტის გაკეთება. 1975 წლის იანვარში, როდესაც საფრანგეთში მიღებული იქნა „კანონი აბორტის შესახებ“, პარტია აღნიშნული კანონის წინააღმდეგ გამოვიდა და ახალი კანონი "ანტი-ფრანგულ გენოციდად" მონათლა. კანონს, რომელიც ფრანგ ქალებს აბორტის უფლებას ანიჭებდა „ვეილ-

ის კანონი“ უწოდეს, ხოლო კანონპროექტის ავტორს, სიმონ ვეილს კი ულტრა მემარჯვენე პოლიტიკური ძალების მხარდამჭერებმა მეტსახელად "ქალბატონი აბორტი" შეარქვეს.

1984 წლის ევროპული არჩევნებისთვის შექმნილი პროგრამა, რომელიც ჟან მარი ლეპენმა თავის წიგნში „ფრანგები უპირველეს ყოვლისა” (Les Français d’abord) შეიტანა, აღნიშნულია, რომ „მას სურს განახორციელოს ძლიერი ნატალისტური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ფრანგული ოჯახის პოპულარიზაციას.“ პროგრამა ითვალისწინებდა დედობის ხელფასის შემოღებას, რაც ფრანგ ქალებს მისცემდა სამსახურსა  და შვილებთან სახლში ყოფნას შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ „დაპირებას“ ასევე „ვეილის კანონის“ გაუქმება წარმოადგენდა.

საინტერესოა რომ 1993 წლის მარტის საკანონმდებლო არჩევნებში “ნაციონალური ფრონტის“ მიერ წარმოდგენილ საარჩევნო პროგრამაში საუბარი იყო "ოჯახის უპირატესობებზე". პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ აბორტის ტრივიალიზაცია ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და ის ქალისთვის მხოლოდ განსაკუთრებული სამედიცინო აქტი შეიძლება ყოფილიყო. პარტია სოციალური ორგანიზაციების მიერ აბორტის ფინანსური ანაზღაურების გაუქმებითა და 1975 წელს მიღებული „კანონი აბორტის შესახებ” გაუქმებით გამოდიოდა (Le Front National, 1993).

2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პროგრამაში სახელწოდებით "ფრანგული მომავლისათვის," „ნაციონალური ფრონტი“ ამომრჩეველს ოჯახურ ბენეფიტებს ჰპირდებოდა, კერძოდ, პარტიის პროგრამაში საუბარი იყო ფრანგი მშობლებისათვის მშობლის ანაზღურების შემოღებაზე, რომელიც მინიმალური ხელფასის შემოსავალის (S.M.I.C) ექვივალენტის შესაბამისი იქნებოდა; პროგრამა ასევე ითვალისწინებდა მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეებზე ოჯახური შეღავათების დაწესებას, პრენატალური შვილად აყვანის უფლებასა

და ახალგაზრდა ფრანგი ობლების აყვანის პროცედურის გამარტივებას (Marin Le Pen, 2016 Octobre 16, BFMTV).

ისეთი თემები, როგორიცაა დედობის ხელფასის შემოღება, შვილად აყვანა, ოჯახური შეღავათების დაწესება, „ეროვნული ფრონტის“ 2012-ის პროგრამაში კვლავაც გვხდებოდა, სადაც ქალები დამოუკიდებელ, ავტონომიურად სუბიექტად როდი იყვნენ წარმოდგენილნი, არამედ პარტია ქალებს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტად, ოჯახურ პრიზმაში განიხილავდა: „ქალები უნდა იყვნენ თავისუფალნი საკუთარ არჩევანში; იმისათვის რათა თავიდან იქნეს აცილებული აბორტი, აუცილებელია ქალთა უკეთესი პრევენცია და ინფორმირება. აუცილებელია მშობლის პასუხისმგებლობა, სახელმწიფოს მხრიდან უნდა იქნას შემოთავაზებული პრენატალური შვილად აყვანის შესაძლებლობები, უნდა გაუმჯობესდეს და დადგინდეს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შესაბამისი ბენეფიტები, უნდა დაწესდეს მშობლის (დედის) ხელფასი, რაც დაახლოებით მინიმალური ხელფასის 80%-ის ექვივალენტი იქნება, ეს კი საშუალებას მისცემს ოჯახში დედებსა ან მამებს ჰქონდეთ რეალური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა პროფესიულ საქმიანობასა და საკუთარი შვილების აღზრდას შორის“ (Front National 2012). პარტიის პროგრამაში ასევე ვხდებით შემდეგი სახის ჩანაწერს: „შეუცვლელი ინსტიტუტი - ოჯახი არის საზოგადოების ძირითადი ბაზისი, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირს“. პროგრამაში არსებული ჩანაწერი ცხადყოფდა, რომ „ეროვნული ფრონტი“ ეწინააღმდეგებოდა როგორც ერთსქესიანი წყვილების ქორწინების ნებისმიერ მოთხოვნას, ასევე ოჯახის შექმნის ან/და ერთსქესიანი წყვილების მიერ შვილად აყვანის შესახებ პროცედურების გამარტივებას (Marin Le Pen, 2016 Octobre 16, BFMTV).

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის საარჩევნო კამპანიაში „ეროვნული ფრონტის“ პროგრამაში მნიშვნელოვნად ჭარბობდა ეკონომიკური საკითხები, რომლებმაც ერთგვარად ნაწილობრივ ჩაანაც-

ვლა „კანონსა და წესრიგში“ პარტიისათვის ტრადიციული საიმიგრაციო თემატიკა. პარტიის პროგრამაში აქცენტი კეთდებოდა ისეთ თემებზე, როგორიცაა სოციალური დაცვა და საჯარო სერვისების გაფართოება, რაც ეკონომიკური გლობალიზაციით განპირობებული გამოწვევების ფონზე შესაძლოა განსაკუთრებით მიმზიდველი ყოფილიყო ქალებისათვის (Scrinzi, 2017). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2012 წლის საარჩევნო პროგრამაში, კერძოდ კი „კანონი და წესრიგის“ თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ქალთა მიმართ ძალადობის თემას, რომელიც „ეროვნული ფრონტის“ წინა წლების პროგრამებში არასოდეს არ ყოფილა შეტანილი.

2015 წელს ლე პენმა საკუთარი ტვიტერის ოფიციალურ გვერდზე განაცხადა, „თუ ჩვენ დავმარცხდებით, მაშინ ბურკა (მთლიანი სხეულის დამფარავი) სავალდებულო გახდება ყველა ქალისათვის, შარიათი კი ჩაანაცვლებს ჩვენს კონსტიტუციას, ბარბარიზმი კი ოფიციალურად გამოცხადდება“ (Marine Le Pen, 2015 Decembre, 2 MPL Officiel). 2016 წლის 13 იანვრს მარინ ლე პენმა კიოლნის გახმაურებული თავდასხმების შემდეგ, მიგრანტთა თემაზე საუბრისას აღნიშნა: „ისინი მოქმედებენ როგორც კრიმინალები, მათ არ უნდა დაარღვიონ დასავლურ საზოგადოებაში დამკვიდრებული აუცილებელი წესები და როდესაც მათ ესოდენ სძულთ ქალები და ეწინააღმდეგებიან ქალთა უფლებებს, რომელსაც ასე ღიად აღიარებენ, მე ეს ძალიან მაშფოთებს...სქესის მიუხედავად სხეულის მთლიანობის უფლება, ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა. დღეს ძალიან ბევრი ქალის უფლებას თავს ესხმიან და ერთგვარი შიში მიპყრობს, რომ ბარბარიზმი ქალთა მიმართ გიჟური მიგრაციის პოლიტიკის წყალობით შესაძლოა კვლავაც განხორციელდეს”. მარინ ლე პენის სიტყვები ხაზს უსვამს, რომ „ეროვნული ერთობის“ ლიდერისათვის მოძალადეებად და დამნაშავეებად ექსკლუზიურად მიგრანტები არიან მიჩნეულნი, მაშინ როდესაც საფრანგეთში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შედეგები სრულიად სხვა

რეალობას გვთავაზობს, კვლევა ადასტურებს, რომ საფრანგეთში ძალადობას საზოგადოების ყველა ფენაში აქვს ადგილი, პრობლემის ცენტრში კი კვლავ იმყოფება ოჯახი, ძალადობის გამოვლენის უმთავრესი ადგილი, რომელსაც ლეპენი პროგრამაში საზოგადოების ბაზისად მოიხსენიებს (Lorieaux, 2017 ).

„ეროვნული ერთობის“ მიერ გენდერული პოლიტიკის შესახებ დისკურსის "მოდერნიზაციას" თან ახლავს გარკვეული ცვლილებები პარტიის პოლიტიკურ პროგრამებში. პარტიის დაპირებებში მარინ ლეპენმა შეარბილა პოზიციები ოჯახთან, სექსუალობასა და ქალთა შრომასთან დაკავშირებით, რაც ერთგვარად მიმართულია ახალგაზრდა თაობების მოსაზიდად, მათზე ორიენტირებული უფრო პროგრესული დღის წესრიგის შექმნის მიზნით. 2012 წლის პარტიულ პროგრამაში მნიშვნელოვნად გამოიკვეთა ერთსქესიანი სამოქალაქო პარტნიორობის მიმართ პარტიის შერბილებული დისკურსი, თუმცა „ნაციონალური ფრონტი“ კვლავაც წინააღმდეგი რჩება ერთსქესიანთა ქორწინების და გეი წყვილების მიერ შვილად აყვანის უფლებისა (Scrinz, 2017).

საინტერესოა, რომ ეს მუდმივი ურთიერთმიმართება ქალებსა და ისლამიზმს შორის ძალიან ნათლად წარმოაჩინა პოლიტოლოგმა, პოლიტიკური კვლევების ცენტრის ასოცირებულმა მკვლევარმა და ამავდროულად სტენდფორის უნივერსიტეტის პროფესორმა სესილ ალდუიმ (Cécile Alduy, 2017) საკუთარ წიგნში სახელწოდებით "ის, რასაც რეალურად ამბობენ: პოლიტიკური სიტყვის ფასი“, გააანალიზა ექვსი პოლიტიკოსის 1,300 ტექსტი (ჟან-ლუკ მელენჩონი, ფრანსუა ოლანდი, ალენ ჟიუპე, ფრანსუა ფიონი, ნოკოლა სარკოზი, მარი ლე პენი) სპეციალური პროგრამის გამოყენებით. კვლევამ აჩვენა, რომ  ყველა შესწავლილი პოლიტიკოსი კანდიდატიდან მარინ ლე პენი არის ის პოლიტიკოსი, რომელიც ყველაზე მეტს საუბრობს გენდერულ თანასწორობაზე, თუმცა მკვლევრის განცხადებით მისი „ფემინიზმი“ მხოლოდ ისლამის კრიტიკაზეა დაფუძნებული, რად-

გან მას არასოდეს უბრძოლია ქალთა უფლებებისათვის და არ აღ-უმაღლებია ხმა ქალთა ქუჩის შევიწროებისა და სახელფასო უთან-ასწორობის წინააღმდეგ”.

## მარინ ლე პენის 2017 წლის საპრეზიდენტო პროგრამის გენდერუ-ლი ანალიზი

პროგრამა, რომელიც 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე „ეროვნული ერთობის“ ლიდერმა ფრანგი ამომრჩევლების წინაშე წარმოადგინა, ქალთა უფლებათა კუთხით ფაქტობრივად არაფრის მთქმელი იყო. პარტიის 144 წინადადებიანი პროგრამიდან, რომე-ლიც ფაქტობრივად 25 გვერდიან დოკუმენტს წარმოადგენდა, მხო-ლოდ ერთ-ერთი ქვეპუნქტი ეხმიანება ქალთა უფლებებს, თუმცა პროგრამის არც ერთი ნაწილი არ ითვალისწინებდა და მხარს არ უჭერდა გენდერულ თანასწორობას. თავად ტერმინი „ქალი“ კი მა-რინ ლე პენის პროგრამაში მხოლოდ ერთხელ შეგვხდა, მაშინ რო-დესაც ტერმინი „უცხოელი“ - თორმეტჯერ, ხოლო „დაცვა“ კი ცხრა-ჯერ გვხდება (Le Front National, 2017).

საპრეზიდენტო პროგრამის პირველ ნაწილში სახელწოდებით "თავისუფალი საფრანგეთი," ერთ-ერთ ქვეპუნქტში "აღვადგინოთ საფრანგეთი, როგორც თავისუფლების ქვეყანა,“ ვხდებით შემდეგი სახის ჩანაწერს: „დაიცავი ქალთა უფლებები: ბრძოლა ისლამიზაცი-ის წინააღმდეგ, რომელიც ძირს უთხრის ქალთა ფუნდამენტურ თა-ვისუფლებებს; ჩვენი მიზანია „ქალთა და კაცთა თანაბარი ანაზღა-ურების შესახებ ეროვნული გეგმის შემუშავება და პროფესიული და სოციალური პრეკარიატის წინააღმდეგ ბრძოლა ”(პუნქტი 9).

2017 წლის პროგრამიდან სრულიად გაქრა წინა წლების პროგ-რამებში ჩადებული ისეთი თემები, როგორიცაა: აბორტის თემა, პრენატალური შვილად აყვანა, მშობლების შემოსავალი და განათ-ლების ხელშეწყობა. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მარი ლეპენის პარტია ცდილობს ოჯახის თემას ერთგვარად თავი აარიდოს, რათა

ამით არ გამოიწვიოს ახალგაზრდა თაობების გაღიზიანება და შესაბამისად არ დაკარგოს მნიშვნელოვანი ელექტორატის - ფრანგი ახალგაზრდების მხარდაჭერა. ევროპელი რადიკალი მემარჯვენე პოლიტიკური ძალებისაგან განსხვავებით, „ეროვნული ერთობა“ ახალ პროგრამაში შეეცადა თავი აერიდებინა ოჯახის თემასთან დაკავშირებული მკაფიო პოზიციების ადვოკატირებისთვის, თუმცა მეორე მხრივ პარტიის 2017 წლის საპრეზიდენტო პროგრამაში ჩნდება და მეორდება ისეთი თემები, როგორიცაა: ბრძოლა ისლამიზაციის წინააღმდეგ, რომელიც RN-ისთის ერთგვარი სტანდარტია ქალთა უფლებათა დასცავად. როგორც ცნობილია თავად აბორტის თემის ირგვლივ არ არსებობს პარტიის ერთიანი ხედვა და იგი იწვევს აღნიშნული პოლიტიკური ძალის შიგნით სერიოზულ უთანხმოებას, პრენატალური შვილად აყვანა (აბორტის თავიდან ასაცილებლად) ბადებს საფუძვლიან ეჭვს აბორტის შესახებ პოზიციების ორაზროვნობის შესახებ თავად პარტიის შიგნით. შესაბამისად ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ეროვნული ერთობის“ პროგრამა დაცლილია ნამდვილი ფემინისტური ბრძოლებისაგან და პარტიის ფარულ შიდა წინააღმდეგობათა მიღმა, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა მხოლოდ ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად ერთგვარი მოჩვენებითი ხაფანგია.

თუ პოლიტიკური ორგანიზაცია „ეროვნული ერთობა“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ოჯახებს, სადაც საშუალო ფენის ქალები ცხოვრობენ, ლესბოსელი ან თუნდაც უცხოელი ქალები კი ფაქტია, რომ არ წარმოადგენენ პარტიის პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარებს. სახელმწიფო სამედიცინო დახმარების გაუქმება (MEA) (ვალდებულება 71) ფატალურად იმოქმედებს ორსულ ლტოლვილებზე, რომლებიც სტატისტიკურად ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილნი საფრანგეთის MEA-ის ბენეფიციარებში. *ბურკიანი ქალები კი რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ირჩევს ბურკას, ველარ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით საზო-*

*გადოებრივ სივრცეებსა და თავშეყრის ადგილებში* (ვალდებულება 95) Lorieux, 2016). „ეროვნული ერთობა“ ყველა ერთსქესიან წყვილებს ქორწინების შეცვლას "გაუმჯობესებული PACS"-ით (სამოქალაქო სოლიდარობის პაქტი) ჰპირდება (ვალდებულება 87), თუმცა აღნიშნულ დაპირებაში გაურკვეველი რჩება, მისცემს თუ არა პარტია ლესბოსელ წყვილებს უფლებას აიყვანონ საკუთარი შვილი, თუმცა თუ გავიხსენებთ ლეპენის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლას, სადაც მან განაცხადა, რომ "ჰომოსექსუალი წყვილებისთვის შვილად აყვანის უფლების წინააღმდეგია" სავარაუდოდ ამის იმედს პარტიის პროგრამა ნაკლებად უნდა იძლეოდეს (Le Pen M, Octobre,16, BFMTV).

დღეს ფრანგული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ მარინ ლე პენი ქალთა უფლებებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს ქალთა უფლებათა დამცველს უწოდებს და ხშირად ციტირებს სიმონა დე ბოვუარსა და ელისაბედ ბადინტერს საკუთარ გამოსვლებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მარი ლეპენი 2004 წლიდან ევროპარლამენტის წევრია, სწორედ ევროპარლამენტის წევრობამ მისცა მას საშუალება მონაწილეობა მიეღო არაერთ მნიშვნელოვან კენჭისყვრაში და შესაბამისად ამ წლების განმავლობაში იგი სისტემატიურად ეწინააღმდეგებოდა ყველა იმ რეზოლუციას, რომელსაც შესაძლოა წინ წაეწია ქალთა უფლებები ევროპაში. 2004 წლიდან მოყოლებული (2004-2018 წწ) „ეროვნული ერთობის“ ლიდერის აპრობაციის უფლების ქვეშ მყოფი 43 კანონპროექტიდან, ლე პენმა 21 კანონპროექტზე ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ხოლო 17-ს კი სააწინააღმდეგოდ მისცა ხმა (Lorieau, 2017). 2013 წლის დეკემბერში, ევროპარლამენტის წევრის, ედიტ ესტრელას მოხსენებით, გათვალისწინებული იყო კონტრაცეფციის და აბორტის უფლების აღიარება, რომელსაც მკაცრად დაესხნენ და გაუსწორდნენ საფრანგეთში კათოლიკური მოძრაობები. მაგრამ თარგმანთან დაკავშირებული ხარვეზების გა-

მოსწორების შემდეგ, ევროპარლამენტის მიერ მიღებული იქნა კონსერვატიული პარტიების მიერ შედგენილი და მნიშვნელოვნად შეცვლილი ალტერნატიული რეზოლუცია. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, ჯანმრთელობა და სექსუალური უფლებების პოლიტიკის დაცვა წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში გადავიდა. ფაქტია, რომ კონკრეტული მაგალითების მოყვანა სრულიად საკმარისია ადექვატური შეფასებების გასაკეთებლად, რომ მარინ ლეპენისათვის მაღალი ტრიბუნიდან „ხმის მიცემა“, ფაქტობრივად ქალთა უფლების წინააღმდეგ ხმის მიცემას ნიშნავს.

2016 წლის 28 აპრილს მარინ ლეპენმა ხმა მისცა რეზოლუციას „გენდერული თანასწორობისა და ციფრულ ხანაში ქალთა უფლებამოსილების კანონპროექტის“ საწინააღმდეგოდ, ანალოგიურად წინააღმდეგ მისცა ხმა 2016 წლის 19 იანვრის დადგენილებას „ევროპული ქალი მეწარმეობის შემაფერხებელი გარე ფაქტორების შესახებ“. „ეროვნული ერთობის“ ლიდერმა მხარი არ დაუჭირა გენდერული თანასწორობისა და ქალთა ემანსიპაციის შესახებ ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განახლებას თანამშრომლობის განვითარების კონტექსტში.

2015 წლის 9 სექტემბერს ლე პენმა ასევე წინააღმდეგ მისცა ხმა დადგენილებას „ქალთა სამეცნიერო და აკადემიური კარიერისა და მინის ჭერის შესახებ“, რომლის მიზანს ქალსა და მამაკაც მკვლევარებს შორის, კონკრეტულად კი აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში დასაქმებულ მკვლევართა შორის არსებულ გენდერული უფსკრულის შემცირებას წარმოადგენდა (Amsellem R, 2017).

ფაქტია, რომ „ეროვნული ერთობა“ სულ უფრო და უფრო აფართოებს საკუთარ მხარდაჭერთა რიგებს საფრანგეთში, რაზეც მორიგ არჩევნებზე მხარდაჭერთა მზარდი რაოდენობა უსვამს ხაზს, განსაკუთრებით კი ქვეყნის იმ არეალში, სადაც იზრდება მასობრივი აბსცესები. ხშირ შემთხვევაში „ეროვნული ერთობის“ პარტიის მხარდაჭერებად ქვეყანაში არსებული სასამართლო განხილვებითა

და კორუფციით იმედგაცრუებული მოქალაქეების ამომრჩეველთა სეგმენტი მოიზარება. „ეროვნული ერთობა“ სოციალურ პრობლემატიკაზე და ეროვნულ თემატიკაზე აქცენტირებით სულ უფრო და უფრო ცდილობს ეკონომიკური და მიგრანტთა კრიზისებით შეწუხებული მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას, რომელთა შორისაა საშუალო დონის ჩინოვნიკები, დაქირავებული და ცისფერსაყელოიანი მუშაკები (Amsellem R, 2017). საფრანგეთის „ეროვნული ერთობა“ აქტიურად ესწრაფვის ქალი ამომრჩევლების ხმების მობილიზებას ისეთი მიმზიდველი თემებით, როგორიცაა დედობის ანაზღაურების შემოღება, თანაბარი სახელფასო ანაზღაურების დაწესება, ოჯახების ხელშეწყობა და მასთან დაკავშირებული ბენეფიტები. პარტიის საარჩევნო პლატფორმებში გაწერილი დაპირებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ პარტიას გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა ქალთა პრობლემებთან მიმართებაში რეალურად არ გააჩნია, ის პროგრამული ჩანაწერები, რომელიც ქალებს პირდაპირ ეხებათ მხოლოდ რამდენიმეა. აღნიშნული პოლიტიკური ძალა ქალს განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ რეპროდუქციულ ჭრილში, რადგან ქალისთვის ერთადერთ სასურველ საქმიანობად „ეროვნულ ერთობას“ მხოლოდ დედობა მიაჩნია, შესაბამისად პარტიის პროგრამა დისკრიმინაციულია სხვა ქალების მიმართ, რომლებიც აღარ იმყოფებიან ფერტილობის ასაკში, ან რომელთა მიზანსაც შესაძლოა თაობათა კვლავ წარმოება არ წარმოადგენდეს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ეროვნული ერთობა“ ქალის ერთადერთ და შეუცვლელ ფუნქციას მხოლოდ დედობაში ხედავს და მას მხოლოდ რეპროდუქციის ინსტრუმენტად განიხილავს. აღნიშნული პარტიის პროგრამაში ასევე არ აღმოჩნდა ადგილი საფრანგეთის რეგიონებში მცხოვრები ქალების პრობლემებზე, სექსიზმზე, დასაქმების ადგილებზე სექსუალურ შევიწროებაზე, აუნაზღაურებელ, ქალთა მძიმე შრომაზე საოჯახო მეურნეობებში, შესაბამისად ყურადღება არ არის

გამახვილებული  სხვა დისკრიმინაციული პრაქტიკების აღმოფ-ხვრაზე.

„ეროვნული ერთობა“ აქტიურად ცდილობს უფრო და უფრო მეტი ქალი შემოიკრიბოს გარშემო, რაზეც პარტიის მიერ არჩევნებ-ზე წარდგენილ და სიებში ჩასმულ ქალ კანდიდატთა მზარდი რა-ოდენობა მიგვითითებს, პარტიის ლიდერი აქტიურად ცდილობს მოირგოს „ფემინისტი“ ლიდერი ქალის იმიჯი და საკუთარ გამოს-ვლებში იგი ხშირად ციტირებს ცნობილი ფემინისტების მოსაზრე-ბებს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ცხადია, რომ მარიან ლე პენი-სათვის ფემინიზმი და ქალთა უფლებები მხოლოდ ისლამის ანტიპ-როპაგანდით შემოიფარგლება, რომელიც რეალურად საფრთხეს უქ-მნის ქალებსა და მათი საუკუნოვანი ბრძოლის შედეგად მოპოვე-ბულ თავისუფლებას. საფრანგეთის „ეროვნული ერთობის“ მიერ წარმოდგენილი ყველა საარჩევნო პროგრამა გენდერულად არამ-გრძნობიარეა და ლიდერის პოზიციები ფაქტობრივად დაცლილია ფრანგი ქალების რეალური პრობლემატიკისაგან.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Alduy C. (2017). ”Le feminisme et le laicite du FN, instruments de Stigmatisation de l’Islam” L’Umanite, 10 მარტი, 2017

https://www.humanite.fr/cecile-alduy-le-feminisme-et-la-laicite-du-fn-instruments-de-stigmatisation-de-lislam-cecile-alduy

2. Amsellem R. (2017). Marine Le pen est un danger pour les droits des femmes en France, Huffpost, 21 აპრილი, 2017

https://www.huffingtonpost.fr/rebecca-amsellem/marine-le-pen-feminisme-presidentielle_a_22049286/

3. Boissieu, L.B. (2015), Le Pen defend le lien entre son catholicisme et le FN, la Croix, 28.08.2015

https://www.la-croix.com/Actualite/France/Marion-Marechal-Le-Pen-defend-le-lien-entre-son-catholicisme-et-le-FN-2015-08-28-1349388

4. Breton. M.L. (2017). Quelle femme politique est Marine Le Pen? HUFFPOST. 22 აპრილი, 2017. From

https://www.huffingtonpost.fr/2017/04/22/quelle-femme-politique-est-marine-le-pen_a_22044498/

5. Crepon S. (2012). Un National-Feminisme"l'Egalite Hommes/Femmes Selon le FN, 31 მარტი, 2012

https://www.atlantico.fr/decryptage/320112/national-feminisme-egalite-homme-femme-tradition-francaise-front-national-sylvain-crepon

6. Eulogos Athena. (2017). Le Republique: Le populisme Menace les Droits des Femmes: Examples d'europe Centrale, 3 ნოემბერი, 2017

https://www.ritimo.org/Extreme-droite-instrumentalisation-des-droits-des-femmes-et-acces-au-pouvoir

7. EU-Logos Athena (2017). Entre instrumentalisation des steretypes et recuperation politique

https://www.eu-logos.org/2017/02/10/femmes-populistes-entre-instrumentalisation-des-stereotypes-et-recuperation-politique/

8. Lorrieux A .(2017) Marine Le Pen "feministw" Une Escroquerie. Slate.10 აპრილი 2017

http://www.slate.fr/story/142985/marine-le-pen-femmes

9. Marine Le Pen (2016). Politiques au Quotidien:"Je suis opposee a l'adoption par les couples homosexuelles", BMF TV, 16 ოქტომბერი, 2016

https://www.bfmtv.com/mediaplayer/video/politiques-au-quotidien-je-suis-opposee-a-l-adoption-par-les-couples-homosexuelles-marine-le-pen-876753.html

10. Pet A. Grezebalska W. (2016). How Hungray and Poland have Silenced Women and Stifled Human Rights, The Conversation, ოქტომბერი, 14, 2016

http://theconversation.com/how-hungary-and-poland-have-silenced-women-and-stifled-human-rights-66743

11. Peto A. Grzebalska W. (2016) dans The Conversation: *How Hungary and Poland have silenced women and stifled human rights,* 14 ოქტომბერი, 2016

https://www.rtl.fr/girls/identites/marine-le-pen-le-fn-applique-t-il-ses-discours-sur-l-egalite-hommes-femmes-7787275502

12. Suzy R. (2018). Extreme-droite: Instrumentalisation des droits des femmes et acces au pouvoir, 22 მარტი, 2018

https://www.ritimo.org/Extreme-droite-instrumentalisation-des-droits-des-femmes-et-acces-au-pouvoir

13. Laurent S., Breteau P. Marine Le Pen. (2016). feministe a la memoire courte, Lemonde, იანვარი 15, 2016

https://www.lemonde.fr/les-decodeurs/article/2016/01/15/marine-le-pen-une-feministe-a-la-memoire-courte_4848295_4355770.html

14. Lorriaux A. (2016). Les femmes musulmanes sont-elles forcees a porter le voile, comme on l'entend dire? Slate. 30 ნოემბერი, 2016

http://www.slate.fr/story/124142/femmes-voilees-coercition-pressions

15. Krebs S. (2015). Parite en Politique: les parties avec les lois, თებერვალი 26, 2015

https://www.europe1.fr/politique/Parite-en-politique-les-partis-jouent-avec-la-loi-776140

16. Le populisme menace les droits des femmes: exemples d'Europe Centrale, 3 ნოემბერი, 2017, ნანახია https://www.eu-logos.org/2017/11/03/lareplique-le-populisme-menace-les-droits-des-femmes-exemples-deurope-centrale/

17. Le Pen, M (2006). À contre flots, Autobiographie, Paris, Grancher, pp:188-190

18. Le Pen M. Officiel, 9 იანვარი, 2016, ბოლოს ნანახია:

https://twitter.com/MLP_officiel/status/685866116493762560

19. Le Pen M. (2017), Discours lors de l'Universite de l'ete (UDT) du front National, a Marseille, 15 სექტემბერი, 2013

20. Le Pen M. (2017)Rassemblement National, Les 144 Engegements presidentiels, ბოლოს ნანახია 5 იანვარი, 2018

https://rassemblementnational.fr/pdf/Programme.pdf

21. Le Pen Official Campaign video, 5 თებერვალი 2017

https://www.youtube.com/watch?v=FYWnuQc5mYA

22. Scrinzi, F. (2017). European University Institute, Robert Schuman Center for Advanced Studies RSCAS, Gender and Women in the Front National discourse and policy: from mothers of the nation to "working mothers", N 91, pp 87-101

23. Quoted in Erwan Lecoeur (ed.), Dictionnaire de l'extreme droite, Paris, Larousse, 2007, p142.

24. Resultats de l'election presidentielle (2017). Ministere de l'interieur

https://www.interieur.gouv.fr/Elections/Les-resultats/Presidentielles/elecresult__presidentielle-2017/(path)/presidentielle-2017/011/077/index.html

25. Moyou E. (11.11. 2019). Les elections presidentielles de 2017 en France – Faits et chiffres

https://fr.statista.com/statistiques/713707/resultat-vote-election-presidentielle-france-deuxieme-tour-age/

25. Vandystadt, N. 2013). Pour le Parlement Europeen, l'education sexuelle a l'ecole releve des Etats, *La Crois,* 10 დეკემბერი 2013

https://www.la-croix.com/Actualite/Monde/Pour-le-Parlement-europeen-l-education-sexuelle-a-l-ecole-releve-des-Etats-2013-12-10-1073990

**Eka Darbaidze**

# Political Transformation of the French „National Rally" and Gender Analysis of Party Election Programs

abstract

The far-right populism in modern world has become more powerful, and Brexit in the UK, the election of Donald Trump as a President of the United States, and the strengthening of ultra-right forces in European countries and the European Parliament is a proof of it. Ultra-right-wing forces are particularly supported in Germany, France, Italy and Hungary. The French National Rally is party that never had so much support in France as in the last national and European elections, in which radical right-wing forces were able to mobilize and support a significant portion of the electorate.

The arrival of Marine Le Pen as chairman of the National Front in 2011 gave the party a breath of fresh air and took it to a new level of development. Under Marine Le Pen, the National Rally has managed to modernize some of its conservative positions on gender, sexuality, and family issues. With the new discourse, the leader of the National Rally aims to attract a segment of voters who have traditionally been the least considered among the electorate of the National Rally, and women are among such electorate.

The aim of this article is to study and analyze reasons that has caused so much power and support for ultra-right populism in Europe, specifically what factors are contributing to the popularity and support of ultra-right forces among the women voters? How sensitive is the party's policy and how do the National Rally's election platforms respond to the needs and demands of women voters?

There is no doubt that the party is actively seeking the goodwill of female voters and mobilizing them around the party, as evidenced by the growing number of female candidates from the National Rally in recent elections and the active support of the female electorate in the presidential election. Despite all this, public organizations working on women's rights in France, feminist activists and their supporters believe that Marine Le Pen is a serious threat for a women's rights and she puts under the question national and regional achievements in the fight for women's rights.

**Keywords:** radical right-wing parties, National Front, National Rally, Marian Le Pen, ultra-right forces, women voters, women's rights.